№ 196 სექტემბერი 17, ხუთშაბათი — 1892 — სექტემბ[...] 17, ხუთშაბათი № 196

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გ[...] სავაჭროდ და კერძო განცხადებათა-დას[...]თ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგზალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1892

**ქვრივი დესპინე ფალავას ასული აბაშიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა დ ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **დიმიტრი ნიკოლოზის ძის აბაშიძისას** და უმორჩილესადა სთხოვს, მობრძანდნენ მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად სოფ. ტელეფას, მის საკუთარს სახლში, სექტემბრის 20-ს, კვირას. (1—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

**მცხეთის დედათა სასწავლებლის სამმართველოსაგან.**

მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ნებადართვით ეცხადებათ მშობელთა და ნათესავთა მოსწავლე და ახლად მისაღებ ქალებისათა, რომ მცხეთის დედათა სასწავლებელში ეს ქალები უნდა მოიყვანონ 2-ს ოქტომბერს.

სამმართველოს წევრი ა. არდაზიანი.

(2—2)

## ახალი ამბავი

*** † 11 სექტემბერს სოფ. ოქროყანას გარდაიცვალა ტფილისის ნოტარიუსი ივ. იგნ. პოლტარაცკი. განსვენებული დაიბადა ქ. ტფილისში 1836 წ., სწავლა მიიღო აქაურს გიმნაზიაში. ჯერ 1 განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლედ იყო, შემდეგ სამსახურს თავი დაანება და ვექილობა დაიწყო. ბოლოს 20 წლის განმავლობაში ნოტარიუსის თანამდებობა ებარა. განსვენებულმა კარგად იცოდა ქართული ენა და რამდენიმე ქართული თხზულება გადათარგმნა რუსულად. სხვათა შორის: „ვეფხის ტყაოსანი“ რუსთაველისა, მოთხრობანი თავ. ი. ჭავჭავაძისა: „კაცია ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახის ნაამბობი“ და რამდენიმე მოთხრობა ა. ყაზბეგისა და ე. გაბაშვილისა.

მიცვალებულის გვამი 13 სექტემბერს დაასაფლავეს ოქროყანას.

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ ბათუმში შეკრებილი ბ-ნ ფილიპე ღლონტის მიერ 20 მან. ამ ფულისა გვქონდა 981 მან. 85 კაპ., ამიათი შესდგა 1001 მან. 85 კაპ.

*** კვირას 13 სექტემბერს ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ავად იყოს, 15 სექტემბრამდე ავად არავინ გამხდარა.

ახალციხეს 11 სექტემბერს ავად გახდა 1, ავად არის 8; 12 სექტემბერს ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 1, ავად არის 7; 13 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა, მორჩა 2, ავად არის 5.

ბორჩალოს მაზრაში წალკას 5--11 სექტემბერს ავად იყო 8, ავად გახდა 25, მორჩა 12, გარდ. 2, ავად არის 9.

გორის მაზრაში: ბორჯომს 7 სექტემბერს ავად გახდა 1; სოფ. ჯავას მორჩა 4, ავად არის 3; 26 აგვისტოდგან 7 სექტემბრამდე სოფელ შინდისს ავად გახდა 5, გარდ. 3; არანეთს ავად გახდა 1; 7—10 სექტემბრიდგან ს. ჰოლას ავად გახდა 4; ს. ბერშუეთს ავად გახდა 6, გარდ 3; ზერტას ავად გახდა 3, გარდ. 1; სამთავისს ავად გახდა 1; ს. კერას გარდ. 1, ავად გახდა 2; ზემო-გომს ავად გახდა 8; ზემო-ჭალას ავად გახდა 7; 13 სექტემბერს ხაშურს ავად გახდა 1 ქალი, რომელიც გომის ფარდულში გაგზავნეს.

ახალქალაქის მაზრაში: სოფლებში ავად გახდა 2, გარდ. 1; ახალქალაქში გარდ. 1, ავად არის 8; 12 სექტემბერს სოფლებში ავად გახდა 5, გარდ. 2; ქ. ახალქალაქს ავად გახდა 4, გარდ. 1, მორჩა 1, სოფლებში და ქალაქს სულ 9 ავადმყოფია. 10—13 სექტემბერს სოფლებში ავად გახდა 2, გარდ. 1, მორჩა 5. სულ ავად არის 9, სოფლად ქალაქში 6.

ერევანს 11 სექტემბერს ავად იყო 13, ავად გახდა 3, გარდ. 6, მორჩა 2, ავად არის 8; ერევნის მთელს გუბერნიაში ავად იყო 22, ავად გახდა 31, გარდ. 12, მორჩა 19, ავად არის 22.

განჯას 12 სექტემბერს ავად არავინ გამხდარა, გარდ. 1, ავად არის 1; განჯას გუბერნიაში ავად იყო 71, მორჩა 35, გარდ. 32, ავად არის 140; 13 სექტემბერს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 30, მორჩა 20, გარდ. 18, ავად არის 132.

სტავროპოლში ავად გახდა 6, გარდ. 1, მორჩა 5; გუბერნიაში ავად გახდა 55, გარდ. 39, მორჩა 79.

დაღესტნის ოლქი: ქ. შურაში ავად არავინ გამხდარა; ოლქში 12 სექტემბერს ავად გახდა 59, გარდ. 45, მორჩა 32, ავად არის 274; 13 სექტემბერს მთელს ოლქში ავად გახდა 90, გარდ. 36, მორჩა 52, ავად არის 276.

ყარსში ავად იყო 22, ავად გახდა 4, მორჩა 1, გარდ. 3, ავად არის 22; 14 სექტემბერს ავად გახდა 5, მორჩა 4, გარდ. 1, ავად არის 22.

ზაქათალის ოლქში 11—14 სექტემბერს ავად გახდა 2, მორჩა 3, გარდ. 2, ავად არის 4.

*** 14 სექტემბერს სპარსელთათვის დაარსებული დროებითი სამკურნალო გაუქმებულ იქმნა სპარსეთის ელჩის ბრძანებით.

*** ბ-ნ ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებული იაფ-ფასიანი სასადილო სამუდამოდ დარჩება. ამ სასადილოსთვის ვ. გ. ალელოვმა შესწირა 400 მანეთი. ბ-ნ წინამძღვრიშვილს იმედი აქვს, ამ სასადილოსთვის 2,000 მანეთამდე შეგროვდეს. ამ ფონდით დაარსდება სამუდამო იაფ-ფასიანი სასადილო. სადილის ფასი 3 კაპ. იქნება.

*** ტფილისის სასანიტარო ზედამხედველმა ბ-ნმა პავლოვმა გუშინ წარუდგინა ბ-ნ ტფილისის პოლიციმეისტერს ანგარიში თექვსმეტის უსასყიდლო საჩაიესი, რომლებიც გამართული იყო ტფილისში ხოლერის გამო. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ტფილისის უსასყიდლო 16 საჩაიეში ამ თთვის 15-მდე 821,200 ჭიქა ჩაი დაულევია ხალხს მუქთად. ამას გარდა, ადუღებულ-გაციებული წყალღვინო დაულევიათ 1.326,700 ჭიქა; უსასყიდლო საჩაიეში, რომელიც პუშკინის სკვერში იყო გამართული, 75 დღის განმავლობაში 135,000 ჭიქა ჩაი და 615,000 ჭიქა წყალღვინო დაულევიათ. მეიდნის უსასულს ნაძვებს თუ მოვკრავდი ხოლმე

## ფელეტონი

**ძველს ქვეყნებში**

(მგზავრის წერილები)

### I

ვენიდგან უდინოს.—ფრიული და ფრიულის ალპები.—ვენეცია.

რომელ განათლებულს კაცს, თავისს ახალგაზდობაში ოცნებით გატაცებულს, არ მოსწყურებია ნახვა იტალიისა, ამ ტურფა და ყოველ გვარის მშვენებით სავსე იტალიისა, რომლის დიდებული ნაშთებიც მოწამეა მისის ორი-ათასის წლის მოხუცებულობისა! ვის არ მოჰსურვებია, ერთხელ მაინც ენახა იგი თავისს წუთიერ სიცოცხლეში! თვით ის, ვისაც არ უყვარს ჩხრეკა-ძიება ძველის ცხოვრებისა, ვინც გულ-ცივად ეკიდება ამ ევროპის განათლების საძირკვლის ჩამდებსა და ურჩევნია აწინდელი ცხოვრება, და თუ აწინდელი არა, შედარებით უფრო დაახლოვებული მაინც, ვამბობ, თვით იმასაც-კი, უფრო იტალიის ნახვა, ასიამოვნებს ვიდრე სხვა რომელისამე ქვეყნისა.

ჩემის აზრით, ვისაც თუნდ ერთხელ ყურადღებით წაუკითხავს ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდი“, უსათუოდ შეიპყრობდა ის ძალა, რომელიც ასე დაუსრულებლივ ანდამატივით იზიდავს ჩრდილო ეთის ქვეყნების მცხოვრებთ იტალიაში, ამ აღთქმის ქვეყანაში, სადაც ყოველ გვარს საკვირველეიბს ჰხედავს კაცი და მრავალ ნაირ სიამოვნებას ჰგრძნობს, სადაც ბრწყინვალე მზე ანათებს, სად ყოველ გვარი ხელოვნება და პოეზიაა. დიაღ, საჭირო არაა, უეჭველად მცოდნე იყო, ანდა მოტრფიალე ისტორიულ ნაშთთა, რომ იტალიის ხსენებაზედ ტანში ნეტარების ჟრუანტელმა დაგიაროს; მხოლოდ უნდა იყო ცოტად მაინც განათლებული, იცოდე ყადრი მშვენიერებისა, ადვილად ჰგრძნობდე ბუნების და ხელოვნების შვენებას. მაინც და მაინც არ შევუდგები მოსაწყენ აღწერას ძველის ნაშთებისას, რომლებითაც მოფენილია იტალიის ქვეყანა;არა, არ გავაბამ საუბარს იმაზედ, რის შესახებაც იწერება ათასობით წიგნები; ვეცდები მხოლოდ ცხოვლად დავასურათხატო იტალია და ამ გვარად მკითხველის ოცნება და გონება კი არ დავქანცო, არამედ გავართო. იქნება, როგორც ვიმედოვნებ კიდეც, ცოტა რამ სასარგებლო სიამოვნებაც ვაგრძნობინო.

კოხტასა და მხიარულს ვენას რომ ვეთხოვებოდი, ცივი შხაპუნა წვიმა მოდიოდა. დუნაის დასცემდა უფრო მოშავე ფერი, ვიდრე ლურჯი, როგორც ლექსებში ამკობენ ამ მდინარეს მგოსნები. ქუჩებში არავითარი მოძრაობა არ არის; მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვენელებს სიმხიარულე აკლდეთ. მიმავალმა თვალი მოვკარ კოპწია სახლებისა, სასტუმროებისა და ყავახანების ფანჯრებში შეგროვილ ათიოდე კაცსა და ქალს და დავრწმუნდი, რომ ვენას მცხოვრებთ მოწყენილობა არ სჩვევიათ, თუ-კი ზამთრის უამინდო დღეშიაც ვერ სძლებენ უერთმანეთოდ.ვენა დაუდრგომელია, მხიარული. მცხოვრებნი არ ეძლევიან მოწყენილობას; მუდამ შექცევაში არიან; რაც უნდა იყოს, გასართობს რამეს გამონახავენ; თუ წვიმა, ან სიცივეა, და სეირნობა ქუჩებში მოუხერხებელია, ვენელები იკრიფებიან ნაცნობთა სახლებში, ან-და მიდიან მშვენივრად მოწყობილ ყავახანაში საცა შესვლა თვით მანდილოსნებსაც არ ეთაკილებათ. ეს კეკლუცნი, ჰაეროვანნი და სიტყვა-მახვილნი ასულნი ევასნი უმთავრესი შვენებანი არიან ვენის საზოგადო ცხოვრებისა. უამათოდ ვენელი ეშხში ვერ შევა და იმ სიამოვნებას სიამოვნებად არ ჩასთვლის, თუ სხვა-და-სხვა ლიზები, გრეტხენები, ან-და ანხელები არ ურევიან. „Ohne damen giebt es kein Vergnügen“ (უქალოდ სიამოვნება ფუჭია), გაიძახის ყოველი ვენელი. როცა შევედი მატარებლის ვაგონში, პირველადვე ეს შემომესმა: „Es ist gut, daso vir damengeselschaft haben!“ (კარგია, რომ ქალთა საზოგადოებაცა გვყავს). დაიძრა თუ არა მატარებელი, ჩემი მეზობლები გამოელაპარაკნენ ორს მათ პირდაპირ მჯდომარე კოპწია ქალს და გათენებამდის გაგვართეს მხიარულის მასლაათით მეც ლთავიანთი თავიც. ღამის წყვდიადით მოცული მატარებელი სწრაფად გარბოდა. ჩქარა თვალთაგან მიგვეფარა ხეობები და სერები ქვემო-ავსტრიისა და მივაღწიეთ მთა-გორაკიან შტირიასაც, რომელსაც შტირიელები თავ-მომწონებით „მწვანედ მობიბინეს“ უწოდებენ. შტირია მშვენიერი ქვეყანაა, სავსე საუცხოო ადგილებით, მაგრამ მათის ცქერით ვერ დავსტკბი, რადგან ღამის სიბნელეს მოეცვა ყოველივე. მარტო-ღა გორაკებზედ ამოსულს ნაძვებს თუ მოვკრავდი ხოლმე თვალს. თუმცა კარგა დაგვიანდა, მაინც ყველგან რკინისგზისსადგურზესიფხიზლეა, ხშირად მუსიკის ხმაც ისმის და ბრუკში ხომ სადგურის დარბაზი მთლად სავსე იყო საცეკვაოდ მორთულ-მოკაზმულ ქალებითა და კაცებითა.

გზა-გზა მგზავრნი ხან გვემატებოდნენ, ხან გვაკლდებოდნენ. ახლად შემატებულნი ზრდილობიანად გვკითხავდნენ ჩვენს ვინაობას და ყველანი დაუღალავ-დაუქანცავად მივქროლავდით თბილის ქვეყნისაკენ.

განთიადისას უკვე ვიყავით კარსტის მთაგრეხილის სამხრეთს ფერდობზედ, რომელიც გადასცქერის ადრიატის ზღვას. მთებზედ და ხევებში თოვლი იდო ისევ, მაგრამ იტალიური სიტყვა-პასუხი გვაგონებდა, რომ იტალიას ახლო ვიყავით. ბოლოს სადგურ St. Petev-თან გაჰქრა თეთრი სუდარა ზამთრისა, დღე უფრო გაბრწყინდა, სითბო დაიწყო, ალაგ-ალაგ გამოჩნდა ვენახები, ზეთისხილის ჭალები. მთიანი ად[...]ან დაგვრჩა და თვალ-წინ გადაგვ[...] ზღვის-პირას მდებარე ისტრიის მშვენიერი მდელოები. ორიოდე მოსახვევიც გაირბინა მატარებელმა და

ყიდლო საჩაიეში 67 დღის განმავლობაში—80,400 ჭიქა ჩაი, და 13,400 ჭიქა წყალ-ღვინო; ფეთხაინის საჩაიეში 58 დღის განმავლობაში—34,800 ჭიქა ჩაი და 17,400 ჭიქა წყალ-ღვინო; ვერის საჩაიეში 67 დღის განმავლობაში—100,500 ჭიქა ჩაი და 20,100 ჭიქა წყალ-ღვინო; ავლაბრის საჩაიეში 54 დღის განმავლობაში—243,000 ჭიქა ჩაი და 10,800 ჭიქა წყალ-ღვინო. ბარონ ა. პ—ძე ნიკოლაის საჩაიეში 65 დღის განმავლობაში—227,500 ჭიქა ჩაი და 650,000 ჭიქა წყალ-ღვინო. დანარჩენს ათ უსასყიდლო საჩაიეში დაულევიათ სულ 1.001,200 ჭიქა ჩაი და 437,100 ჭიქა წყალ-ღვინო. აქედგან: საქართველოს ექსარხოსის მიერ გამართულ უსასყიდლო საჩაიეში 55 დღის განმავლობაში დაულევიათ 77,000 ჭიქა ჩაი და 33,000 ჭიქა ნადუღი წყალი. ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიის საჩაიეში 37 დღის განმავლობაში—11,100 ჭიქა ჩაი და 1,850 ჭიქა წყალი. მალაკნების საჩაიეში 56 დღის განმავლობაში — 22,400 ჭიქა ჩაი და 42,000 ჭიქა წყალი. რიყის საჩაიეში 60 დღის განმავლობაში—336,000 ჭიქა ჩაი და 204,000 ჭიქა წყალი. გერმანელების საჩაიეში 73 დღის განმავლობაში—73,000 ჭიქა ჩაი და 18,250 ჭიქა წყალი. ტერ-ასატუროვის (კუკიის) საჩაიეში 66 დღის განმავლობაში—99,000 ჭიქა ჩაი და 66,000 ჭიქა წყალი. დოლანოვის საჩაიეში 53 დღის განმავლობაში—10,600 ჭიქა ჩაი. ვაგზალის (ვოგაუს) საჩაიეში 40 დღის განმავლობაში—72,000 ჭიქა ჩაი და 12,000 ჭიქა წყალი. სუქიასოვის საჩაიეში 40 დღის განმავლობაში—100,000 ჭიქა ჩაი და 60,000 ჭიქა წყალი. მთაწმინდის საჩაიეში დაულევიათ სულ 1,500 ჭიქა ჩაი. მაშასადამე, ტფილისის თექვსმეტ უსასყიდლო საჩაიეში გამართვიდგან ამ თთვის 15-მდე სულ 1.822,400 ჭიქა ჩაი და 1.763,800 ჭიქა წყალ-ღვინო დაულევია ხალხს, ე. ი. დღეში 31,443 ჭიქა ჩაი და ყავა და 28,850 ჭიქა ნადუღი წყალი ღვინით. ამას გარდა, თითქმის ყველა საჩაიეში ჩაისთან პურიც ეძლეოდათ.

*** გუშინ დაბრუნდნენ ტფილისში იმიერ-კასპიის მხრიდგან ექიმნი: ი. ვ—ძე ჩეპურკოვსკი—ბუხარიდგან, ვ. ს—ძე დელოვი და მ. ო—ძე პალოვსკი—ასხაბადიდგან და ა. ი—ძე ბერიდტი — ჩარჯუიდგან. „იმიერ-კასპიის მხარეს ხოლერა მოსპობილა და ეს მკურნალნი იმიტომ წამოსულან.

*** გუშინ, ამ თთვის 16, ტფილისის კადეტთა კორპუსში პარაკლისის გადახდის შემდეგ სწავლა დაიწყო.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების პირველი, ზაფხულ შემდეგ, კრება დანიშნულია ორშაბათს, ამ თთვის 21. კრება სხვათა შორის განიხილავს მმართველობის მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადებამ ცხენთა გამოფენაში, რომელიც ამ მცირე ხანს შემდეგ გაიმართება.

*** 14 სექტემბერს გაუქმებულ იქმნა ორი უკანასკნელი ეტლიც ხოლერიან ავადმყოფთა წასაყვანი. ამას იქით, თუ ვინიცობაა კიდევ გახდა ვინმე ხოლერით ავად, ჩვეულებრივის ეტლით წაიყვანენ სამკურნალოში და შემდეგ ამ ეტლს სადეზინფექციო წამლებით აპკურებენ.

*** პეტერბურგში ერთი საზოგადოება არსდება, რომელსაც განზრახვად ექნება, რაც შეიძლება იაფად წაიყვანოს მსურველნი ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენის დასათვალიერებლად.

*** გაზეთ „Кавказъ“-ს სწერენ გორის მაზრიდგან: ივლისის თთვეში იპოვნეს ს. ქვიშხეთს ახლო, მდ. მტკვრის ნაპირას, ყელ-გამოჭრილი გლეხი ივანე სვიმონოვი; ამ დღეებში მკვლელებიც აღმოაჩინეს. ესენი არიან ს. ახალდაბას მცხოვრებნი, თედო გელაშვილი და ფიდო გოგლაშვილი. მკვლელებს წინდაწინ განუზრახავთ საბრალო სვიმონოვის მოკვლა; ჯერ საფანტით გატენილი თოფით დაუჭრიათ, მერე მივარდნილან და დანით ყელი გამოუღადრავთ. თედო გელაშვილი შეიპყრეს და გადასცეს ადგილობრივს გამომძიებელს, ხოლო მეორე მკვლელის, ფიდო გოგლაშვილის შესახებ დეპეშით აცნობეს დუშეთის მაზრის უფროსს, ღონისძიება იხმაროს მის შესაპყრობად.

*** გაზ. „Нов. об.“-ეში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი Z-სი ტფილისის აბანოების შესახებ. წერილის ავტორი ამბობს, რომ ტფილისში 2400 აუზიაო და აბანოების შემოსავალი ნახევარ მილიონზედ მეტი უნდა იყოს, რადგან აბანოებში დიდძალი ხალხი დადის და თითქმის არც ერთი აუზი არა სცდება. დღეს აბანოები მეტის მეტად უხეირხულად არის მოწყობილი, გარშემო სიბინძურე და ქოხ-მახები არტყია, ყოვლად საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება ამ აბანოების განკარგებას, ისესხოს ფული, შეისყიდოს ახლო-მახლო მამულები, თვით აბანოები, გააშენოს გარშემო ბაღები, გაიყვანოს აბანოებამდე ცხენის რკინის გზა და ამ სახით გადააქციოს ეს კუთხე ქალაქისა ერთ მშვენიერ, მარგებელ და სასიამოვნო კუთხედაო. ტფილისის აბანოებისთანა აბანოები არსად არ მოიძებნება მთელს რუსეთის იმპერიაშიო. მთავრობა, ვინ იცის, რამდენს ფულს არა ჰხარჯავს ჯერ მარტო პიატიგორსკის წყლებზე, რომელსაც ტფილისის აბანოები ბევრად სჯობია და ქალაქის თვით მმართველობა-კი ასეთს სიმდიდრეს ყურადღებას არ აქცევსო.

*** ს. აბაშა (ქუთაისის მაზრა): ხოლერა ჩვენც გვესტუმრა. ერთს ოჯახში 10 აგვისტოს ორი კაცი იმსხვერპლა, მამა ⁊ შვილი. ქმრისა და შვილის დამკარგავმა საცოდავმა დედაკაცმა ვერ აიტანა ეს დარდი და დანით თავი მოიკლა. დარჩა ამ სახლში მხოლოდ ერთი ბიჭი, რომელმაც იმათი სიკვდილი დროზედ ვერავის აცნობა, რომ დაესაფლავებინათ. უკანასკნელ დროს აცნობეს სოფლის მამასახლისს, როდესაც ბოქაულიც ჩვენს სოფელში იყო მოსული. გაიგო თუ არა ბოქაულმა ეს ამბავი, ფიცხელი განკარგულება მოახდინა. ჯერ თითონ წავიდა, სადაც მიცვალებულები იყვნენ, დაათვალიერა ყველაფერი და უბრძანა მამასახლისს მიცვალებულების დასაფლავება ეკკლესიის გალავანში. საფლავები გათხარეს და სადეზინფექციო წამლებიც მოამზადეს, მაგრამ მიცვალებულების საფლავზედ მიმტანი ვერსად იშოვნეს. ხალხი შიშით დაფრთხალი გაიფანტ-გამოიფანტა. ბოქაულმა უბრძანა მამასახლისსა და იასაულს, დაესაფლავებინათ მიცვალებულები და თითონაც აღუთქვა დახმარება, მაგრამ მამასახლისმა ეს არ იკისრა. მეტი ღონე არ იყო, მიცვალებულები დარჩნენ დაუსაფლავებელი. გავიდა სამი დღე, მიცვალებულების დამსაფლავებელი არსად აღმოჩნდა, ბოლოს მათი დასაფლავება იკისრა აქაურმა ერთმა მემამულემ, გვარად კ—მ, იქირავა ორი კაცი სამოც მანეთად და დაასაფლავებინა მიცვალებულები. ძლიერ უპატრონოა ჩვენი სოფელი. არც არის ექიმი და არც ფერშალი.

*** ბათუმი: აქ ერთს რკინის გზის მოიჯარადრეს, შთამომავლობით ოსმალს, მოჰპარა მეორე ოსმალმა 180 მან. და გაიქცა. ქურდი ჯერ არ არის შეპყრობილი.

*** ამ დღეებში რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა გრაჩოვმა დაათვალიერა გზა ბათუმსა და ხაშურს შუა და აღმოაჩინა, რომ ლიანდაგი ყველგან მკვიდრია; მხოლოდ ყვირილასა და ფოთს შუა დასჭირდება გზას გამოცვლა შპალებისაო.

*** ხაშური: ბარბარინოს ახლო სახალხო მატარებლიდგან გადმოვარდა კონდუქტორი გრონჩევსკი და ვაგონებ ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა ორივ ფეხები მოჰგლიჯა და თავი სულ გაუჭეჭყა. საბრალომ ხუთს წამს ვეღარ იცოცხლა. საცოდავს დარჩა ცოლი და წვრილშვილი ულუკმა-პუროდ და სრულიად უნუგეშოდ.

*** ამ თთვის 15 სირაჯხანის აღმართზე, იშხანოვის სახლში, მიწის თხრის დროს კედელი მოირღვა და ქვეშ მოჰყვა სოფ. ახალქალაქის მცხოვრებელი სოლომონ მამაცაშვილი. მიცვალებული ნათესავებს გადასცეს დასამარხავად.

*** ამავე დღეს მეიდანზედ, ყორღანოვის სახლთან იპოვნეს მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

### რედაქციისაგან

გუშინდელს „შეცდომის გასწორებაში“ ასე სწერია შეცდომით:

დაბეჭდილია: „ორივ ჭკუა-თხელი მოხუცი შეყრილობა სენატში“. უნდა იყოს: „ისივ ჭკუა-თხელი შეყრილობა სენატში“.

ყოველ ამის მაგიერ უნდა ყოფილიყო: დაბეჭდილია: „ორივ ჭკუა-თხელთ მოხუცთ შეყრილობა სენატში“... უნდა იყოს: „ისივ ჭკუა-თხელნ მოხუცთ შეყრილობა სენატში“...

## დაბა ⁊ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა ცხინვალი**, 26 აგვისტო. მოგეხსენებათ, რომ ხოლერამ თავზარი დასცა ცხინვალს, რომ ცხვინვალში ხოლერა ბაქოზედ ძლიერ მძვინვარებდა შედარებით და ორასამდის ღარიბი ხალხი იმსხვერპლა. ამ ჟამად ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა და თითქმის შიშიც აღარა აქვს ხოლერისა, რადგან ამ მტერთან ბრძოლა ისწავლა ხალხმა და ახლა ცხინვალელებისთვის აგრე რიგად საშიში აღარ არის. ხოლერის მოსპობას, მასთან უშიშრად ბრძოლის შესწავლას ხალხი აწერს თავ-გამოდებულ მოქმედებას აქაურ მკურნალ ცისკარაშვილისას, ცხინვალის ბოქაულ გუგუშვილისას და მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელ ოსიაშვილისას და ზოგიერთ სანიტარებისას, რომელთ მოწყალებითაც, არა თუ გასწყვა ხოლერა, არამედ ხალხიც დაემზადა, როგორ უნდა ებრძოლოს ხოლერას შემდეგ, უექიმოდაც-კი. რომ

---

დავინახეთ ცისფრად მოციმციმე ადრიატის ზღვა და მზის ელვარებით მოცული სხვა ახალი ქვეყანა—la bella Italia (მშვენიერი იტალია). დიაღ, თუმცა ჯერ ისევ ავსტრიაში ვიყავით, მაინც უკვე ვიგრძენით იტალიის ბუნება, იტალიის ჰაერს ვსუნთქავდით. მატარებელი დიდხანს მიდიოდა ზღვის პირად, შორს თვალი მოვკარით ტრიესტის თეთრს შენობებს და მირამარეს სასახლეს; ახლო გავუარეთ კოხტა გორიცას ქალაქს და 15 წამს შემდეგ უკვე ვიყავით ავსტრიის უკანასკნელ სადგურ კარმონსზე.

მატარებელის აღარ შეუცვლიათ. წავედით ქვემოდ, გავიარეთ საზღვრის მდინარე ონდრიო და ნახევარ საათს შემდეგ კოპწია უდინოს ქალაქში ვიყავით, რომელიც, როგორც ქალაქი იტალიისა, სავსეა მუდამ მწვანედ მობიბინე ბაღებითა და კვიპაროსის ხეივნებით; გარს არტყია მშვენიერი, ნაყოფიერი და მჭიდროდ დასახლებული ფრიულოს მინდორი და შორს სჩანს დიდროვანი ფრიულოს ალპები, რომელიც მუდმივ დაფენილია თოვლითა და თვალ-მოსაჭრელად ბრწყინავს იტალიის ცხარე მზეზედ.

აქ თვალ-წინ გადამეშალა სამხრეთი ყოველის თავისის მშვენებით. ჰაერი გვამცნევს იტალიას და რაღაც საამო სინაზითაა მოცული არე-მარე. მეყურება ყოველ მხრივ საუცხოვო, ტკბილ-მოუბარი ენა პეტრარკისა და ვხარობ, რომ ეს ენა მესმის, შემიძლიან საუბარი ამ ენით, რომ ამ ახალმა ცხოვრებამ, რომელიც წიგნების კითხვით თუ ვიცოდი აქამდის, ეხლა გადამიშალა თავისი სული და გული. მგონია, რომ ყველა ეს ნაცნობია, ყველა ეს მინახავს, მაგრამ არა, ეს მარტო ოცნება ყოფილა.

Bella Italia, amate sponde,
Pur vi tornoa riveder.
Frema in petto e si vonfonde
L'alma oppressa dal piacer.

(მშვენიერო იტალიავ, ვბრუნდები, რომ კვლავ ვიხილო სასურველნი კიდენი შენნი. მკერდში გული ცემას უმატებს და თითქოს ვიბნიდები, აღვსილი ამ ნეტარებით).

ბევრჯელ გავიმეორე ეს მგოსან მონტის ლექსი, როცა დავსეირნობდი უდინოს კვიპაროსის ხეივნებში და ვსტკბებოდი შორს, სივრცეში გადაშლილის მშვენიერის ალაგებით. ცნობის-მოყვარეობა მიზიდავდა შუაგულ ქალაქში. ძველ ქალაქებში ჯერ ისევ ბევრი ადგილებია, ძველებურად მოწყობილი, ძველის ზნე-ჩვეულებით, ძველის ყაიდის შენობებით, სადაც სცხოვრობს მდაბიო ხალხი: უბრალო ხელოსნები და ვაჭარნი. მე ძლიერ მიყვარს ამისთანა ადგილები, სადაც ხალხიც და ყოველი საგანიც თავისებურობას წარმოადგენს და სად ყველაფერს ადგილობრივი ბეჭედი აზის, მაშინ როდესაც ქალაქის ახალ ნაწილებში გაჰქრა ყოველ-გვარი ძველებურობა.

უდინოს ძველი ნაწილი ძლიერ დააფიქრებს კაცს. აქ ყოველს საგანს აზის ბეჭედი ძველის ცხოვრებისა, იმ დროის ცხოვრებისა, როდესაც გერმანიის იმპერატორები გადმოდიოდნენ იტალიაში, რათა დაემონათ ეს ტურფა ქვეყანა. უდინოში ბევრია ისტორიული ნაშთი, მოწამე მამა-პაპათა განათლებისა, მაგრამ იტალიის სხვა ქალაქებში უფრო მრავალია, უფრო საგულისხმიერო და ამიტომ აქ უდინოს შესახებ შევწყვეტავ ბაასს.

თბილი, მზიანი დილა იდგა, როდესაც კოპწია უდინოს ვესალმებოდით. მატარებელი მიჰქროდა ფართო და ნაყოფიერ ვაკე მინდორზედ. ეს ვაკე გადაჭიმულია ადრიტის ზღვიდგან ფრიულოს ალპებამდის, რომელიც დიდებულად აყუდებულა ლაჟვარდ ცაში. საუცხოვო რამ არის ეს ჩრდილოეთ-იტალიის ვაკე მინდორი! აქაიქ გაფანტულია ქვითკირის სახლები მზეზედ მოლაპლაპე კრამიტის სახურავებით, რომელიც თითქო შთაუნთქავს მწვანედ მობიბინე ვენახებს და ზეთისხილის ბაღებს. სოფლები თითქო არც-კია. ერთი მეკომური თავისს კარგად შემუშავებულ მამულით, სახლით, ბოსტან-ბაღით და მეურნეობისთვის საჭირო შენობებით ჰშორავს მეორეს 200—300 ნაბიჯით. გლეხი თავისს მამულზედ მარჯვედ და მოხერხებით არის და უფრო მეტის სარგებლობასაც ჰხედავს. ეს ხასხასის მწვანით შემოსილი მდელოები მოგაგონებთ ოდნავ კახეთს, მაგრამ ამ მცირე მგზავსებით უცხო ქვეყნელი ვერ გაიცნობს კახეთის ნამდვილს ბუნებას.

ტრევიზოს ქალაქს იქით ისევ ზღვაა. ბუნება აქ მწირია, მინდორი მშიერი, ჭაობები ხშირი; ჩრდილებს ძვირად შეხვდებით და ამ ნიშნებით ცხადად ჰგრძნობთ, რომ ვენეცია ახლო უნდა იყოს. დიაღ, რამდენიმე სადგური კიდევ და შორს, ზღვაზედ გამოჩნდა ჯერ შავი წერტილი, თანდათან გადიდდა და ბოლოს ჩემს თვალ-წინ გარდიქცა უშველებელ ქალაქად, რომელიც თითქოს დასცურავდა ზღვის მოლაპლაპე ტალღებში. ესაა Venecia, la ricco (მდიდარი ვენეცია), დედოფალი ადრიატიკისა, დოჟთა ქალაქი, საყვარელი ადგილი ევროპიელ მგოსანთა და მხატვართა.

მატარებელი რა გასცდება პატარა ქალაქს მესტერს, დიდხანს მიდის ზღვის პირად, შემდეგ შევა თვით ზღვაში და სამიოდე ვერსი ასე უნდა გაიაროს გაკეთებულ ლიანდაგზედ. ეხლა-კი ცხადად ვხედავ ვაგონიდგან მთელს მშვენებასა და სიტურფეს ვენეციისას, მაგრამ ორის წამის შემდეგ მივადექით კიდეც ქალაქს. ნაწილი ვენეციისა მიმეფარა თვალთაგან და მეც თითქოს ჩამყლაპა ამ უშველებელმა ქალაქმა. მატარებლის სადგური არის პატარა კუნძულზედ, დიდის არხის (Canale dranse) სიახლოვით, რომელსაც შეჰყავხარ შუაგულს ქალაქში.

„Gondoloo“, გასძახა fachino-მ, რომელსაც მიჰქონდა ჩემი ბარგი და ერთს წუთზედ სამი-ოთხი გონდოლა (ნავი) მოადგა განიერს ქვის კიბეს.

ა. ლ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხინვალელებმა იციან დაფასება კაცისა პატიოსნად და სინიდისიერად, ეს საქმითაც მტკიცდება: აქ, სხვათა შორის, ცხინვალელებმა გადასწყვიტეს, სთხოვონ უმაღლეს მთავრობას ყურადღება მიაქციოს ცხინვალის დღევანდელ მოხელეებს, რადგან ისინი თავ-განწირულებით და დაუღალავად შრომობდნენ ხალხის საკეთილდღეოდ. ბოქაულის დაუღალავ მოქმედებას ამ სიტყვებით ჰხატავენ: „ჩვენ არხეინადა გვძინავს, რადგან ბოქაული ფხიზლობსო“. დაეთხოვა თუ არა ბოქაული მცირეს ხნით და მოშორდა ცხინვალს, ქურდ-ბაცაცებს დრო მიეცათ და იმავ ღამეს გაუტეხეს დუქანი ურია ყეზერა შალიბაშვილს და გაიტანეს, რაც რამ ებადა. ამ გვარად ცხინვალელები ხოლერის შიშს გადარჩნენ, მაგრამ ახალ შიშს მიეცნენ, ვაი თუ ბოქაულმა დაიგვიანოს და ქურდ-ბაცაცები გამრავლდნენო და ვისა აქვს თავი, ღამეშა ოც-და-ათის ყარაულის გამოყვანისა, როგორც სხვა ბოქაულების დროს იყოვო. მით უფრო შიშობენ, რომ ამ ნაირი შემთხვევა მთლად ცხინვალის საბოქაულოში ბოქაულის არ-ყოფნაში ხუთი მოხდა.

არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ ცხინვალში მოვიდნენ ჩვენი ახალგაზდა სტუდენტები და, ჩვენდა სასიქადულოდ და ხალხის სასიხარულოდ, დიდი შემწეობა გაუწიეს ხალხს. იმათ, ადგილობრივის სანიტარების დახმარებით, გაუკეთეს დეზინფექცია ყველა სახლებს, მისცეს დარიგება ხალხს, რომელიც სიამოვნებით ისმენდა მათ საუბარს. სტუდენტებმა: გურიელმა, ჭიჭინაძემ და ჯორჯაძემ გამოაცხადეს: დიდად ვსწუხვართ, რომ ცოტა ადრე ვერ მოგეშველეთ და ამდენი ხალხი გარდაიცვალა თქვენს დაბაშიო. ცხინვალში მოვიდნენ ამას წინად: მკურნალი ბ-ნი მალალაშვილი, ჩვენის მაზრის წინამძღოლი სულხანიშვილი, მკურნალი მაჭავარიანი და ბორჩალოს მაზრის წინამძღოლი თ. გ. ორბელიანი, სასანიტარო დარიგება მისცეს ხალხს, მოახდინეს ზოგიერთი განკარგულებანი ⁊ მადლობა გადაუხადეს აქაურ მოხელეებს ერთგულის მოქმედებისათვის და დაავალეს, მუყაითად ალასრულეთ ყოველივე ჩვენ მიერ განწესებულიო.

ცხინვალელი

---

**სოფ. ქედა** (ქვედა აჭარა). ბ-ნ ზ. ჭიჭინაძისაგან მივიღე სამი ათასამდე სხვა-და-სხვა ქართული წიგნი: ზედა-აჭარასა და იმერხევში დასარიგებლად. ვისაც ვაძლევდით ამ წიგნებს, ყველა დიდის სიამოვნებით იღებდა. ქართველმა მაჰმადიანებმა აქამდის შეინახეს თავიანთი სამშობლო ენა და ზოგიერთ ადგილას ქართული კითხვაც იციან. იმედია, დღეის შემდეგ ამ წიგნებით უფრო მოიფინება ქართული წერა-კითხვა, რადგან ყოველს წიგნში მოიპოვება ქართული ანბანიც. ამ წიგნების მოწოდებისათვის დიდი მადლობელნი ვართ. ჩვენს დაქვეითებულს ხალხში ერთობ დიდი ნატვრა აქვთ სკოლებისა. აქაურები დიდის ხვეწნით იხვეწებიან, რომ სოფ. ქედაში როგორმე სკოლა გაგვიმართონ ჩვენ მოძმე ქართველებმაო. იხვეწებიან იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენის თავის პატრონობის ძალა არა გვაქვს: ქედაში რომ სკოლა გაიმართოს, მთელს აჭარაში მსწრაფლად მოიფინება ქართულის ცოდნა და ქართული წერა-კითხვა. უამისოდ ამოდენა მოწყვეტილს ქართველ მაჰმადიანობას დიდი შიში მოელის. ჩვენ ჩვენს ძმებ ქართველებთან ერთად-ერთი სკოლა და წიგნები-ღა შეგვაერთებს. ცოდვანი ვართ, რომ უსწავლელადა და უპატრონოდ დავრჩეთ ამდენი ხალხი.

ამას წინად ჩავედი სოფ. ჭვანას. მივედი მეჩეთში და იქ ვნახე თათრული სკოლა, სადაც თხუთმეტი მოსწავლე ბალანა ჰყავდა ხოჯას ახმედეფენდი-მეხმედ-ოღლის. მე თან წიგნები მქონდა და ბავშვებს დავურიგე. დიდის სიხარულით გამომართვეს. ხოჯამ ნება მისცა, გამოართვითო. თითონაც გამამართვა ყველა ნაირი წიგნი დიდის სიამოვნებით. ამ ხოჯას კარგად სცოდნია ქართული წერა-კითხვა, როგორც მე თითონ დავრწმუნდი. შეგირდებსაც გამოუცხადა, რომ დღეში ორ საათს ეს ქართული წიგნები უნდა გაკითხოთ ყველასაო. ბალნებს გაეხარდათ და დიდი მადლობა გადაუხადეს. იმ დღესვე დააწყებინა ქართულ ანბანის სწავლება. ეს ხოჯა ფრიად სასარგებლო კაცი უნდა იყოს ჩვენებურ უსწავლელ ხალხისათვის. ახლომახლო სოფლებში მალე გავრცელდება ქართული წერა-კითხვა ამ ხოჯას შემწეობით. ამას გარდა, ცხრაათი მოლა არის კიდევ ქართულის მცოდნე ჭვანში.

ამ თთვის პირველს ბათომის ოლქის უფროსი ამობრძანდა ზედა-აჭარაში ⁊ ახალციხესა და აჭარას შუა კარანტინი დააწესა ხოლერისაგან ჩვენის ქვეყნის დასაცველადა და დასაფარავად.

თ. აბდულ-ეფენდი მიქელაძე

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

რამდენისამე წლის წინად სამეგრელოს სკოლებში შემოიღეს მეგრული ენა რუსულის ენის შესასწავლად. ეხლა აღმოჩნდა, რომ მეგრულის ენის შემწეობით რუსულის ენის სწავლება შეუძლებელი ყოფილა. მეგრელებს საკუთარი მწერლობა არას დროს არა ჰქონიათ და ქართულადა სწერდნენ და კითხულობდნენ. აი რასა სწერს ამ საქმის შესახებ გაზეთს „მწყემსში“ ამავე გაზეთის რედაქტორი დეკანოზი დ. ღამბაშიძე:

აქამდე ყველა დარწმუნებული იყო, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს ქართულს ენას სამეგრელოსთვის. მაგრამ ეხლა გამოჩნდა ვიღაც აშორდია თავის მეგობრებით და, ვითომ-და სიკეთე სურთ მეგრელებისთვის, შემოიღეს გამოუსადეგარი და არავისთვის არა სასურველი მეგრული ანბანი...

ჩვენ არ გვესმის, რისთვის დასჭირდათ ამ აშორდიებს ახალის მწერლობისა და ლიტერატურის შემოღება?..

ამბობენ, ვითომ მეგრულის ენის საშუალებით მეგრელებისთვის უფრო ადვილია რუსულის ენის შესწავლაო...

ქ. ფოთში მომხდარ მასწავლებელთა კრებაზედ აშკარად დამტკიცდა, რომ მეგრულის ენის შემოღებამ უფრო გაუძნელა მოწაფეთ რუსულის ენის შესწავლა და ამ მიზეზისა გამო ბევრმა მოწაფემ საერო სკოლას თავი დაანებეს და სამრევლო სკოლებში გადავიდნენ, სადა რუსულს ენას ქართულის ენის შემწეობით ასწავლიან...

ან იქნება სარწმუნოებისა და ზნეობის მხრივ იყოს სასარგებლო სკოლებში მეგრულ ენის შემოღება?..

ამას წინად ერთი პედაგოგი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში ზნეობა იმიტომ არის დაცემული, ცხენის ქურდობა და სხვა ბოროტება იმიტომ არის გავრცელებული, რომ მეგრელებს ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა არ ესმისთო...

დასავლეთის ევროპაში წირვა-ლოცვა მუდამ ლათინურს ენაზედაა, მაგრამ იქ საიმისო ბოროტება არა ხდება. ცხენის ქურდობა ხომ სულ არ არის. არა, მეგრულს ენაზედ წირვა-ლოცვას არ შეუძლიან ხალხის ზნეობის გასწორება. ქურდობა სულ სხვა მიზეზისაგან წარმოსდგება, მაგრამ ამ მიზების გამოკვლევას ჩვენ აქ არ შევუდგებით...

ყველამ იცის, რომ ამ ორმოცის წლის წინად ვიღაც ვაჟუატონებმა მოიწადინეს წირვა-ლოცვაზედ მეგრულად შემოეღოთ ზოგიერთი „მშვიდობისანი“ და «ასამაღლებელი». ვინ არ იცის აგრეთვე, რომ ხალხი ამ მიზეზის გამო ეკკლესიიდგან გამოვიდა და წყევა-კრულვით იხსენიებდა წირვა-ლოცვის მეგრულ ენაზედ შემომღებლებს.

რად მოხდა ესა? იმიტომ - რომ მეგრული თარგმანი სასაცილო, ორაზროვანი და წირვა-ლოცვის შეუფერებელი გამოდგა... სხვა არა იყოსრა, რუსეთის იმპერიაში არსებობს უმაღლესი დაწესებულება — უწმიდესი სინოდი, რომელიც განაგებს სარწმუნოებისა და ეკკლესიის საქმეებს. სინოდს გარდა, არავის არა აქვს უფლება, რაიმე ცვლილება შემოიღოს სარწმუნოებისა და ეკკლესიის საქმეებში. ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ უწმ. სინოდს არავითარი განკარგულება არ შემოუღია ლოცვების მეგრულს ენაზედ გადათარგმნისა და საღმრთო წერილის მეგრულს ენაზედ სწავლების შესახებ.

ჩვენშიაც, საქართველოში, არსებობს უწ. სინოდის განყოფილება—ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორა, რომელიც აგრეთვე განაგებს საეკკლესიო საქმეთა, მაგრამ არც სინოდის კანტორას ჰქონია ამ საქმის შესახებ არავითარი მსჯელობა. მაშ სხვას ვისა აქვს უფლება საეკლესიო საქმეებში გარევისა და ახალის წესების შემოღებისა უმთავრესის დაწესებულების დაუკითხავად, რომლისაც აბარია სარწმუნოებისა და ეკკლესის ყველა საქმე?

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით დეკანოზ დ. ღამბაშიძეს, რომ ისეთს მძიმე საქმეში, როგორიც არის ახალ თაობის განათლება, დიდი მოფიქრება და წინ-დახედულობაა საჭირო. ამ საქმეში, სარწმუნოებისა და საპედაგოგიო მოსაზრებათა გარდა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარს, ანგაარებით გამსჭვალულს, მოსაზრებას.

---

## ავლაბრის ქოხმახები *)

„ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო“, ამბობს ანდაზა. ჭირი ამ შემთხვევაში ხოლერაა, რომელმაც არამც თუ გაასუფთავა ტფილისი, გამოჰკვება და საზრდო მიაწოდა, შეჰმოსა მთელი ოჯახობანი, ბევრს ასწავლა კიდეც, რა არის სიღარიბე და რას ჰნიშნავს ღატაკად ცხოვრება. წინად, ხოლერის დაწყებამდე, სიღარიბის სურათი ოდნავადაც არ წარმომიდგებოდა ხოლმე ისეთი, როგორიც ცხოვრებაში ნამდვილად ყოფილა. სხვისის ნათქვამითა და წიგნებში ამოკითხულით ძალიან ძნელია, რომ ადამიანმა ნათლად, უნაკლულოდ წარმოიდგინოს ეს სურათი: საკუთარის თვალით ნახვაა საჭირო, და მეც ვნახე, როგორცა სცხოვრობენ ღარიბნი, და ვეცდები კიდეც ყოველივე ჩემ მიერ ნახული მოკლედ, ორიოდე სიტყვით აღვნიშნო.

როდესაც ტფილისში საჩაიე და სასადილო გაიმართა, შევნიშნეთ, რომ ქართველი და სომეხი დედაკაცები არ დადიოდნენ. გადავწყვიტეთ, ამათ ჩაისა და საჭმლის სახლში წაღების ნება მივცეთო. ავლაბრის უსასყიდლო სადილოდგან 250-მდე ოჯახობამ დაიწყო საჭმლის ზიდვა, ჩაისა და შაქრის დარიგება-კი იკისრა უფროსმა გამგემ ავლაბრის საჩაიესამ გ. ხ. მალუმიანმა. მალუმიანს 400 ოჯახის სია ჰქონდა შედგენილი, რომელთაც ჰსურდათ ჩაი-შაქარი მიეღოთ. ვიყიდეთ ჩაი-შაქარი და შევუდექით მის განაწილებას. ჩვენი დასი, რომელშიაც ვიყავით ბ-ნი მალუმიანი, ქ-ნნი მიხაილოვისა, კ. მაკაროვისა და მე, 17 აგვისტოს პირველად გაემგზავრა ავლაბრის ქოხმახებისაკენ და უკან მოგვყვებოდა მუშა, რომელსაც ჩაი-შაქარი მოჰქონდა აკიდებული.

პირველს ოთხს ოჯახობას, რომელიც ჩვენა ვნახეთ პირველს დღეს, ეჭირათ თითო პაწია, დაბალი ოთახი. ოთახში იდგა ორ თუ სამ-ფეხიანი სტოლი, 2—3 ასეთივე სკამი, ერთს კუთხეში მიედგათ ტახტი, კარებს უკან (ჩვეულებრივ)... ფალასფულასი აწყვია, კედლებზედ ჭუჭყიანი, დაქონიანებული სურათებია გაკრული, ჟურნალ „ნივადგან“ ამოღებული,—აი მთელი მოწყობილობა სადგომისა. ეს ოჯახობანი ყველაზედ შეძლებულები იყვნენ იმათ შორის, რომელთანაც-კი ჩვენ ყოფნა მოგვიხდა.

მეხუთე ოჯახობა, რომელიც ამ ქუჩაზედა სდგას, სცხოვრობს სიგრძით ოთხს ადლიანსა და სიგანითა და სიმაღლით სამს ადლიანს ქოხში; ამ ქოხს, ფანჯრების მაგიერ, ძლივს ანათებს ორი პატარა ჭუჭრუტანა; კედლებისა და ჭერის ფერი ამ ასოების ფერსა ჰგავდა; ერთს კუთხეში ტახტის მაგვარი რაღაცა იდგა, რომელზედაც დღე სადილობდნენ და ზედ წამოსხდებოდნენ ხოლმე და ღამე საწოლი იყო ოთხის ყმაწვილისა; თვით დედას დაგლეჯილ ხალიჩის ნაჭერზედ ჰქონდა ტახტთან, იატაკზედ საწოლი. როდესაც ერთმა ჩვენგანმა ჰკითხა, ბილეთი ხომ გაქვს უსასყიდლო სასადილოსი და სადილი რატომ არ მოგაქვსო, მან გვიპასუხა: მე თვით ავადა ვარ, ვერც ყმაწვილებისთვის დამინებებია თავი, ჩემი უფროსი ქალიშვილი-კი არა კადრულობს, „კეთილშობილობსო“... ამ გვარად, მთელი ოჯახი მთელ დღეობით მშიერ-მწყურვალია.

აქედგან ერთს სახლში წავედით, სადაც სამი ოჯახი სცხოვრობდა, ჩვენს სიაში აღნიშნულები. წარმოიდგინეთ, პაწია, ჭუჭყიანი ეზო; ეზოდგან შედიხართ დერეფანში, რომლის აქეთ-იქითკენ სამი დოლაბია გაკეთებული და სამის სადგომის კარებობასა თამაშობს.

ეს სადგომები ცოტათი განსხვავდება ერთმანეთისაგან: სამივ პაწიებია, ბნელები და ნესტიანები; ზემოდგან ერდო აქვს გაკეთებული ფანჯრის მაგიერად; ეს ერდო ანათებს სახლს და ამ ერდოდგანვე გადის ბოლი, თუ ცეცხლი დაანთეს (რაც ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე). ოთახები მეტად სადად არის მოწყობილი: მიწის იატაკზედ რაღაც ფლას-ფულასი ჰყრია... ძნელი გასაგებია, სად ჩამოსხდებიან ხოლმე, სად იძინებენ... არც სკამებია, არც სტოლი, არც ტახტი... ადვილად წარმოსადგენია, თვით მდგმურები როგორები უნდა იყვნენ: მიკნავებულ-მისუსტებულნი, გამხდარნი, სწორედ სამარიდგან ამოღებულებსა ჰგავდნენ!..

დავურიგეთ ამათ ჩაი და შაქარი და შემდეგს ოჯახში გადავედით. აქ ჭეშმარიტად რომ სულის აღმაშფოთებელ-შემაძრწუნებელს სურათს წავადექით თავს. ამ ოჯახში ორი სული იყო, ბებია და შვილიშვილი; მოხუცი ფეხზედ ძლივს-ღა დაფანფალებდა, შვილიშვილს-კი სიარული სულ არ შეუძლიან, ფეხები დამბლადა აქვს. ოთხისა ოუ ხუთის წლის ყმაწვილი, რომელიც სწორედ თამაშობისა და ცელქობის ჰასაკშია, მწარე ხვედრს ბალიშისათვის დაუკრავს და უძრავადა წევს! რა თვალით უყურებდა იმ ყმაწვილებს, რომლებიც უკან დაგვდევდნენ! როგორ გააყოლებდა ხოლმე თვალს თითოეულს მათგანს! მწუხარება, შური, ბედის უმადურობა—ყოველსავე ამას ერთად და ცალკ-ცალკე ამოიკითხავდით ამ უბედურის ყმაწვილის თვალებში... იმათის ცხოვრებისა და ოჯახის მოწყობილების შესახებ ითქმისდა რამე? მოხუცს ლუკმა-პური ვერ მოუნაგრებია, ყმაწვილის მოვლას უნდება; მეზობლები ეხმარებიან ცოტაოდენს და იოლად გამოჰყავთ. იმ ქოხში, რომელშიაც ეს ორი სული სცხოვრობს, რამდენიმე ფლას-ფულასი ჰყრია, რომელზედაც იძინებს მოხუცი (ყმაწვილი ბალიშს ვერ მოჰშორებია, იქავ ჰზის და იქავე სძინავს). იქვე დევს გატეხილი ყავადანი, რომლითაც სასადილოდგან საჭმელს ეზიდებიან.

ვანუგეშეთ რა მოხუცი და მივუალერსეთ ყმაწვილს, მეორე სახლში გადავედით. ეს სახლი ადამიანს მოაგონებს იმ ხაროს, რომელშიაც სომეხთა მეფე ტრდატმა გრიგოლ განმანათლებელი ჩაამწყვდია. ოთახისკენ ადის ვიწრო, დაბალი, ბნელ-დერეფნიანი, საფეხურ-დამტვრეული კიბე. ეს ოთახი ნანგრევია სწორედ: კედლებიდგან აგურები ჩამოცვივნულა, იატაკად ოღრო-ჩოღრო, აჩიჩქნილდაჩიჩქნილი მიწა აქვს, ჭერი თავს ძლივს იმაგრებს და ჩამოქცევას აპირებს; ისეთი ნესტიანია ოთახი, რომ დიდხანს შიგ შეუძლებელია გაძლება; ჭუჭრუტანა, რომელიც ფანჯრობასაც ასრულებს და კარებობასაც, გადის პაწია აივანზედ, რომლის ¾ ფეხისალაგს დაუჭერია და საშინელი მყრალი სუნი სდგას. ამ ოთახში თავი შეუფარებიათ ქმარსა, ცოლსა, იმათს ორს ვაჟიშვილსა, ექვსისა და რვა წლისას, და... ათიოდე ქათამს.

---

*) ეს გულ-საკლავის სიღარიბისა და სიღატაკის გამათვალისწინებელი წერილი დაბეჭდილია წარსულ კვირის გაზ. „ახალ მიმოხილვაში“, ეკუთვნის ი. ტ. მ-ს, და იმდენად საყურადღებოა, რომ სიტყვა-სიტყვით მოგვყავს შეუმოკლებლივ.

თითქმის ასეთივე სადგომი უჭირავს მეორე ოჯახსაც. იგი მხოლოდ იმითი განსხვავდება პირველისაგან, რომ ცოტა იმაზედ დიდია, ცოტა ნათელი, ცოტა მშრალი და ცოტა ძვირიც (პირველი ჰღირს თვეში ორი აბაზი, მეორე—ექვსი აბაზი).

ამ დღეს ჩვენ ოც-და-ათს ოჯახს დავურიგეთ ჩაი-შაქარი.

(დასასრული ხვალ)

## წვრილი ამბავი

სახალხო სახლი პარიჟში. ხუთს ენკენისთვეს პარიჟში დიდის ამბით იდღესასწაულეს „სახალხო სახლის“ აშენება. დღესასწაულზედ შემოიკრიბნენ სოციალისტები, რომელთაც რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვეს. შენობა ჯერ სულ გათავებული არ არის. იმაში უნდა გამართონ საწყობი ახალ და კარგის ღირსების სანოვაგეთა, რომ რაც შეიძლება, იეფად მიჰყიდონ მუშა-წვრთ. ამ დღესასწაულის მეორე დღეს, ექვსს ენკენისთვეს, იმავე შენობაში გაიმართა საბავშო დღესასწაული.

— ერთხელ საფრანგეთის ერთმა დიპლომატმა ელზას-ლოტრენის გუბერნატორ, გერმანელ მარშალ მანტეიფელთან საუბრის დროს, დიდი ქება შეასხა ფრანგების ნიჭსა და ხელოვნობას. „რაც უნდა უბრალო საგანი იყოს თუნდ დიდად უშნოც, იმათ ხელში, სთქვა დიპლომატმა, უმშვენიერესს ნივთად გადაიქცევაო“. ეს ბაქიაობად ჩამოართვა ფრანგ დიპლომატს მანტეიფელმა და გაჯავრებულმა ამოიგლიჯა თავის ჯაგარის მსგავსის წვერიდგან ერთი ბეწვი და გადასცა დიპლომატს ამ სიტყვებით: «აბა, ამისაგან შექმნან რამ მშვენიერი თქვენმა ხელოსნებმაო». მანტეიფელს ეგონა, რომ ფრანგები, რაც უნდა დახელოვნებულნი იყვნენ, მაინც იმისას ვერაფერს მოახერხებენო, მაგრამ მოსტყუვდა. ფრანგმა დიპლომატმა მანტეიფელის წვერის ბეწვი პარიჟის ერთს შესანიშნავს მკირთვასის თვლების მკეთებელს გაუგზავნა და სთხოვა, მშვენიერი ნივთი გააკეთე მანტეიფელის ბეწვისაგანაო. ერთის კვირის შემდეგ მანტეიფელმა მიიღო ფოსტით პატარა ყუთი, რომელშიაც ჰნახა მკირთვასი ქინძისთავი. ქინძისთავი წარმოადგენდა პრუსიის სახელმწიფო ღერბის არწივს, რომელსაც ბრჭყალებში ეჭირა მანტეიფელის ბეწვი; ბეწვზე ეკიდა ოქროს ორი პატარ-პატარა ბურთი. ეს ორი ბურთი ჰნიშნავდა ფრანგების ორ პროვინციას—ელზასსა და ლოტრენს, რომელიც 1870 წელს ომის შემდეგ გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში, თუმცა უგულითადესი სურვილი ამ პროვინციებისა დღესაც ფრანგებთან შეერთებაა. ზემოხსენებულს ორს პატარა ბურთს შემდეგი წარწერა ჰქონდა: «ელზას-ლოტრენი». კლდეს, რომელზედაც იჯდა პრუსიის სახელმწიფო არწივი, ასეთი სიტყვები ეწერა: „ესენიო“ (ესე იგი ელზას-ლოტრენი) ხელში გიჭირავთ, მაგრამ მალა თქვენის მპყრობელობისა ბეწვზედ ჰკიდიაო“.

### წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით თორმეტს მანათს, შეგროვილს განჯის სადგურზედ რკინის გზის მოსამსახურეთა შორის სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საზრდოლულად. აგრეთვე გიგზავნით შემომწირველთა სიას.

დიმიტრი ქვლივიძე 1 მ. 50 კ., სოლომონ დოლიძე 1 მ., იაკობ ღოღობერიძე 1 მ., დავით გოცირიძე 1 მ., ივან ბაჯიოღლი 1 მ., იოსებ ნადირაძე 1 მ., სარიდონ ჭუმბურიძე 1 მ., პავლე კიკნაძე 1 მ., იოსებ კუნჩუხიძე 1 მ., მათე კაკაბაძე 1 მ., მოსე მაჩიტაძე 50 კ., იაკობ ნოდია 1 მ., სულ 12 მ.

დიმიტრი ქვლივიძე

1892 წ. 8 ენკენისთვეს

ქ. განჯა

## დეპეშა

15 სექტემბერი

**მოსკოვი.** დაარსდა და აკურთხეს კიდეც „ანტონ ერლანგერის“ ამხანაგობის ფულით გამართული მეწისქვილეთა სასწავლებელი. პირველ კლასში მიიღეს 19 მოწაფე. სკოლასთან სახელოსნოებიცაა გამართული.

**სიმლა.** რამდენიმე წარჩინებული ვაზირიები დიდის ამალით ვანადგან კაიური-კახს გაემგზავრნენ, რათა მეგობრული გრძნობანი განუცხადონ ბრიტანიის მთავრობას. გმირის წარმომადგენელმა გულ-მაჰამედმა ჯარებითურთ 22 სექტემბერს ვანა და გულ-კახი დასტოვა.

**კატანია.** ეტნიდამ ნაცარტუტი თან-და-თან უფრო ძლიერ ამოჰქუხს და ამოდის.

ავტორს წიგნისას „თაყვანისცემა წმ. კვართისა“, ტრირ რეიხარდს გადუწყვიტეს ექვსის კვირით დაპატიმრება სარწმუნოების შეგინებისა და ეპისკოპოსის კორუმის შეურაცხყოფისათვის, ხოლო დამსტამბველს ამ წიგნისას, ზონენბერგს სამის კვირით.

პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,87 | 7,92 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 157 3/4 | 158 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — ,, | — ,, | 236 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 218 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 191 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5% | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102 1/4 | — ,, | — ,, |
| 5% | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,12 | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით-დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


## განცხადებანი

### გასაფრთხილებლად

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ იყიდონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი.

ოლეო-ვაზელინისა როიალ-კონგო

მხოლოდ ის, რომელსაც ქვეშ აწერია ე. ბოდლო და ამხ. ეს საპონი დიდად განთქმულია და საერთო არა აქვს-რა, ღირსებითა და სურნელოვანებით, სხვა ამ სახელის და მსგავსების საპნებთან.

ახლად გავაკეთეთ:

სურნელოვანი წყალი «Fin de Siecle».

სურნელოვანი წყალი „Paris Caprice“

ჩვენი ხელობაა კეთება:

ყვავილების ო-დე-კოლონისა

უოკელ გვარის სურნელოვანებისა

საპარფიუმერო ფაბრიკა

«ვიქტორია რეგინა»

ე. ბოდლოსი და ამხ.

მე-3 მეჩანსკი ქუჩა, სახლ. № 49

წვრილ-წვრილად იყიდება: კიტაისკი გასავალზედ, ხლუდოვის სახლში.

იყიდება აგრეთვე მთელის რუსეთის ყველა სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

(35—1)

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—10

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

### ქუთაისში

იყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—6)

ახლად გამართული

### პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მირზაშვილისა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბაღდოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყება 25 სექტემბრიდამ.

(50—4)

### საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, ათთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—12)

### თამბაქოს ფაბრიკა
### ნიკოლოოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

ტფილისში

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.

(10—6)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში იყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

### საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

### სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.